# მომავალ სტუდენტთა სექცია (ექსპერიმენტული პანელი)

# Section of Future Students (Experimental Panel)

**სარედაქციო კოლეგია:**
ეკა თხილავა
ნინო მინდიაშვილი
ანუკი წივწივაძე
ბექა მანაგაძე
მაია ხელაია
ვერიკო ხუციშვილი
ოლგა დოროხინა

**ტექნიკური უზრუნველყოფა:**
გოგა გოგოხია

## Editorial Board:
Eka Tkhilava
Nino Mindiashvili
Anuki Tsivtsivadze
Beqa Managadze
Maia Khelaia
Veriko Khutsishvili
Olga Dorokhina

## Technical Support:
Goga Gogokhia

ყველა უფლება დაცულია
2019 წლის კონფერენციის მასალების სრულად ან ნაწილობრივ გამოყენება კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის თანხმობის გარეშე დაუშვებელია.

All rights reserved
Partial or full application of the material of 2019 International Conference without confirmation from Caucasus International University is prohibited.

# სამუშაო პროგრამა
# PROGRAM

## კონფერენციის მიზნები:

• საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სკოლებს შორის ერთიანი აკადემიური გარემოს განვითარების ხელშეწყობა;
• ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის მოსწავლეების სამეცნიერო კავშირების ფორმირება, ნაყოფიერი პროფესიული ურთიერთობების განვითარება;
• მოსწავლეთა სამეცნიერო-პრაქტიკული საქმიანობის სტიმულირება;
• მოსწავლეთა ურთიერთთანამშრომლობა, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება;
• მოსწავლეებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შორის ინტერპერსონალური ურთიერთობების ხელშეწყობა.

## საორგანიზაციო კომიტეტი:

**ნინო მინდიაშვილი** - ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, კსუ-ს ასოცირებული პროფესორი, კსუ-ს სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე;

**ანა ბახტურიძე** - კსუ-ს სამართლის ფაკულტეტის კოორდინატორი;

**ნათია ბუთხუზი -** კსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის სპეციალისტი;

**თინათინ გაბუნია** - მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის აუდიო ვიზუალური მიმართულების პედაგოგი;

**ოლანი გოცირიძე** - ტექნიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, კსუ-ს ასოცირებული პროფესორი, კსუ-ს ქართული მევენახეობა-მეღვინეობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი;

**ანა გოგილაშვილი** - თსუ-ს ლიტერატურის ისტორიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი, კსუ-ს სადოქტორო პროგრამების კოორდინატორი;

**ალიკა გუჩუა -** კსუ-ს პოლიტიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტი, ასისტენტი;

**ოლგა დოროხინა** - კსუ-ს სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიის გეოპოლიტიკური მოდელირების ლაბორატორიის ხელმძღვანელის მოადგილე;

**თამარ ვახტანგაძე** - მედიცინის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი;

**მამუკა თორია** - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის საბაკალავრო და საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი;

**ლალი მიქელაძე** - ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, კსუ-ს ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;

**ქეთევან კალანდაძე** - მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი;

**მაია კაპანაძე** - ისტორიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი;

**თაკო კაპანაძე -** კსუ-ს პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტის სპეციალისტი;

**შენგელი კიკალაშვილი** - კსუ-ს მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტი;

**თეა ლაზარაშვილი** - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, კსუ-ს ფინანსების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;

**ბექა მანაგაძე** - კსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტი;

**ვლადიმერ მაჭარაშვილი** - სამართლის დოქტორი, ასისტენტ პროფესორი, კსუ-ს სამართლის ფაკულტეტის დეკანი;

**ნანა პარინოსი** - თსუ-ს ამერიკისმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი, მოწვეული პროფესორი, კსუ-ს აშშ-სა და კანადის შესწავლის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, კსუ-ს რექტორის თანაშემწე;

**მარინა უგულავა** - კსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტი, სასკოლო-საგანმანათლებლო პროექტების კოორდინატორი;

**ქეთევან შოშიაშვილი -** კსუ-ს სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის სტუ-დენტთა სამეცნიერო ინიციტივების კოორდინატორი, ისტორიის აკადემი-ური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი;

**ანუკი წივწივაძე** - კსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი;

**ვახტანგ წივწივაძე** - კსუ-ს კანცლერი;

**ვახტანგ წივწივაძე** - კსუ-ს რექტორის მოადგილე;

**მედეა წივწივაძე** - კსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

**მაია ხელაია** - კსუ-ს უცხო ენების ცენტრის ხელმძღვანელი;

**ვერიკო ხუციშვილი** - კსუ-ს უცხო ენების ცენტრის კოორდინატორი;

**ანა ჯანიკაშვილი** - კსუ მულტიმედია ცენტრის კონსულტანტი;

**ბელა ჯაფარიძე** - სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო პრო-ცესის მართვის სპეციალისტი.

## სამეცნიერო საბჭო:

**სესილი გოგიბერიძე** - ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, კსუ-ს სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, კონფერენციის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე;

**მარინა გედევანიშვილი** - ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი; ასოცი-რებული პროფესორი; კსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

**ოლანი გოცირიძე** - ტექნიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, კსუ-ს ქართული მევენახეობა-მეღვინეობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი;

**თამარ კიკნაძე** - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, კსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო და პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი;

**კახაბერ კორძაია** - მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, კსუ-ს რექტორი;

**ვახტანგ მაისაია** - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, კსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი;

**ვლადიმერ მაჭარაშვილი** - სამართლის აკადემიური დოქტორი, ასისტენტ პროფესორი, კსუ-ს სამართლის ფაკულტეტის დეკანი;

**ირმა მახარაშვილი** - ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, კსუ-ს ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი;

**ლალი მეკოკიშვილი** - მედიცინის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, კსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის დეკანი;

**გია მეფარიშვილი** - სამართლის აკადემიური დოქტორი, პროფესორი;

**ნინო მინდიაშვილი** - ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, კსუ-ს სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე;

**იაკობ ოფირი** - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მკვლევარი, ქართულ-ებრაული კონგრესის გენერალური მენეჯერი;

**მარჟენა ჟაკოვსკა** - ვარშავის ომის მეცნიერებათა უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;

**მინდია უგრეხელიძე** - სამართლის დოქტორი, პროფესორი, კსუ-ს სამართლის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი;

**ქეთევან შოშიაშვილი -** კსუ-ს სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის სტუდენტთა სამეცნიერო ინიციტივების კოორდინატორი, ისტორიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი;

**ზაზა ცოტნიაშვილი** - სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ჟურნალისტიკაში, პროფესორი, კსუ-ს ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;

**ნინო ჭალაგანიძე** - ჟურნალისტიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, თსუ-ს ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის

დეპარტამენტის ხელმძღვანელი, კსუ-ს მულტიმედია ცენტრის ხელმძღვა-ნელი;

**სერგო ჭელიძე -** სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, სამართლის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი.

| დღის განრიგი<br>25.05.2019 | | |
|---|---|---|
| 10:00 | რეგისტრაცია | კსუ, ფოიე |
| 10:30 | **გახსნა, პლენარული სხდომა**<br>• **კახაბერ კორძაია -** კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი, მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;<br>• **ჰამიდ მოსტაფავი -** საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს მრჩეველი კულტურის საკითხებში;<br>• **ნინო ჩუბინიძე** - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის კანცლერის მოადგილე;<br>• **სესილი გოგიბერიძე -** სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის უფროსი;<br>• **ნინო მინდიაშვილი -** კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევების | **III სართული, საკონფერენციო დარბაზი N 305** |

| | | |
|---|---|---|
| | დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი. | |
| 11:00 | სექციაში მუშაობა<br><br>სექციის ხელმძღვანელი:<br>• **მარინე უგულავა,** კსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტი, სასკოლო-საგანმანათლებლო პროექტების კოორდინატორი;<br><br>კომისიის წევრები:<br><br>• **თინათინ გაბუნია,** მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის აუდიო ვიზუალური მიმართულების პედაგოგი;<br><br>• **ქეთევან კალანდაძე,** მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი. | III სართული, საკონფერენციო დარბაზი N 305 |
| 13:00 | ჩაი/ყავა | I სართული, კაფეტერია. |
| 13:30 | სექციების მუშაობის განახლება | III სართული, საკონფერენციო დარბაზი N 305 |
| 16:30 | სექციებში კონფერენციის შეჯამება, სერტიფიკატების გადაცემა, დახურვა | |
| 17:00 | ფურშეტი | I სართული, კაფეტერია. |

## The conference aims at:

- Facilitating to develop common academic environment between Georgian and foreign schools;
- Forming scientific links of the pupils from various regions of the country, as well as developing efficient professional relations;
- Stimulating pupils' scientific-practical activities;
- Forming a cooperation among pupils, sharing knowledge and experience;
- Forming interpersonal relations between pupils and professors-teachers.

## Organizing Committee:

**Nino Mindiashvili –** Academic Doctor of Philology, Associate Professor, Deputy Head of CIU Scientific Research Department, Chairperson of the Conference Organizing Committee;

**Ana Bakhturide** – Coordinator at CIU Faculty of Law;

**Natia Butkhuzi** – Specialist at CIU Faculty of Medicine;

**Tinatin Gabunia** - Head of National Youth and Children's Palace, Instructor of the audio-visual direction;

**Olani Gotsiridze** - Doctor of Technical Sciences, Associate Professor, Supervisor of CIU Undergraduate and Postgraduate Educational Programs in Georgian Viticulture-Winemaking;

**Ana Gogilashvili** –PhD Candidate of Doctoral Educational Program in History of Literature at TSU, Coordinator of CIU Doctoral Programs;

**Alika Guchua** – Assistant, PhD Candidate of Doctoral Educational Program at CIU;

**Vladimer Macharashvili** – Doctor of Law, Assistant Professor, Dean of CIU Faculty of Law;

**Tea Lazarashvili** – Academic Doctor of Economics, Associate Professor, Supervisor of CIU Undergraduate Educational Program in Finances;

**Mamuka Toria** – Academic Doctor of Economics, Associate Professor, Supervisor of CIU Undergraduate Educational Program in Management and Postgraduate Educational Program in International Business Management;

**Lali Mikeladze** – Academic Doctor of Business Administration, Associate Professor, Supervisor of CIU Undergraduate Educational Program in Tourism;

**Olga Dorokhina** – Deputy Head of the Laboratory of Caucasus Geopolitical Modelling at CIU Faculty of Social Sciences;

**Ketevan Kalandadze** – Library Head of National Youth and Children's Palace;

**Maia Kapanadze** – Academic Doctor of Historical Science, Associate Professor;

**Tako Kapanadze** - Specialist at the Institute of Political Studies at CIU;

**Beka Managadze** – Specialist at CIU Public Relations Service;

**Nana Parinos** – Candidate of Doctoral Program in American Studies at TSU, CIU Invited Professor, Head of the Institute for US and Canadian Studies at CIU, Assistant of CIU Rector;

**Marina Ugulava** – Specialist at CIU Public Relations Service, School-Educational Project Coordinator;

**Shengeli Kikalishvili** - Academic Process Management Specialist at CIU Faculty of Viticulture-Winemaking;

**Ketevan Shoshiashvili** - Academic Doctor of History, Associate Professor, Coordinator of Students' Scientific Initiatives of the CIU Scientific Research Department;

**Anuki Tsivtsivadze** – Head of CIU Public Relations Service;

**Vakhtang Tsivtsivadze** - CIU Chancellor;

**Vakhtang Tsivtsivadze** – CIU Deputy Rector;

**Medea Tsivtsivadze** - Senior Specialist at CIU Public Relations Service;

**Maia Khelaia** – Head of CIU Foreign Language Center;

**Veriko Khutsishvili** - Coordinator of CIU Foreign Language Center;

**Tamar Vakhtangadze** – Academic Doctor of Medicine, CIU Associate Professor;

**Ana Djanikashvili** - Consultant at CIU Multimedia Center;

**Bela Djaparidze** - Academic Process Management Specialist at the CIU Faculty of Social Sciences.

## Scientific Board:

**Sesili Gogiberidze** – Academic Doctor of Philology, Head of CIU Scientific Research Department, Chairperson of Conference Scientific Board;

**Marina Gedevanishvili** – Academic Doctor of Biology, Associate Professor, Head of CIU Quality Assurance Service;

**Olani Gotsiridze** – Academic Doctor of Technical Sciences, Associate Professor, Supervisor of CIU Undergraduate and Postgraduate Educational Programs in Georgian Viticulture-Winemaking;

**Tamar Kiknadze** – Doctor of Political Sciences, Associate Professor, Supervisor of CIU Undergraduate Educational Program in International Relations and Doctoral Educational Program in Political Science;

**Kakhaber Kordzaia** – Doctor of Mathematical Sciences, Professor, CIU Rector;

**Vakhtang Maisaia** – Doctor of Political Sciences, Professor, Supervisor of CIU Postgraduate Educational Program in International Relations and International Security;

**Vladimer Macharashvili** – Academic Doctor of Law, Assistant Professor, Dean of CIU Faculty of Law;

**Irma Makharashvili** – Academic Doctor of Business Administration, Associate Professor, Dean of CIU Faculty of Business;

**Lali Mekokishvili** – Academic Doctor of Medicine, Associate Professor, Dean of CIU Faculty of Medicine;

**Gia Meparishvili** – Academic Doctor of Law, Professor;

**Nino Mindiashvili** – Academic Doctor of Philology, Associate Professor, Deputy Head of CIU Scientific Research Department, Chairperson of Conference Organizing Committee;

**Iakob Opiri** – Doctor of Historical Sciences, Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University Researcher, General Manager of Georgian-Hebrew Congress;

**Marzena Żakowska** – Assistant-Professor at The War Studies University of Warsaw;

**Mindia Ugrekhelidze** – Doctor of Law, Professor, Supervisor of CIU Doctoral Educational Program in Law;

**Zaza Tsotniashvili** – Doctor of Political Sciences in Journalism, Professor, Supervisor of CIU Undergraduate Educational Program in Journalism;

**Nino Chalaganidze** – Academic Doctor of Journalism, Associate Professor, Head of Journalism and Mass Communication Department at TSU, Head of CIU Multimedia Center;

**Ketevan Shoshiashvili** - Academic Doctor of History, Associate Professor, Coordinator of Students' Scientific Initiatives of the CIU Scientific Research Department;

**Sergo Chelidze** - Doctor of Law, Associate Professor, Supervisor of CIU Undergraduate Educational Program in Law.

| **Agenda**<br>**25.05.2019** | | |
|---|---|---|
| **10:00** | **Registration** | **CIU, Foyer** |
| **10:30** | **Opening, Plenary Session**<br>• **Kakhaber Kordzaia** - Rector of Caucasus International University, Doctor of Mathematical Sciences, Professor;<br>• **Hamid Mostafavi** - Cultural Advisor to the Embassy of the Islamic Republic of Iran in Georgia; | **3rd floor, Conference Hall.**<br>**N 305** |

| | | |
|---|---|---|
| | • **Nino Chubinidze** - Vice Chancellor of the Caucasus International University;<br>• **Sesili Gogiberidze -** Head of CIU Scientific Research Department;<br>• **Nino Mindiashvili** - Deputy Head of CIU Scientific Research Department, PhD in Philology, Associate Professor, Chairman of the Conference Organizing Committee; | |
| **11:00** | **Work in Sections**<br><br>**Head of the Section:**<br><br>• **Marine Ugulava,** Specialist at CIU Public Relations Service, School-Educational Project Coordinator;<br><br>**Members of the Commission:**<br><br>• **Tinatin Gabunia** - Head of National Youth and Children's Palace, Instructor of the audio-visual direction;<br><br>• **Ketevan Kalandadze,** Library Head of National Youth and Children's Palace; | **3rd floor, Conference Hall.**<br><br>**N 305** |
| **13:00** | **Tea/Coffee** | **1st floor, cafeteria** |
| **13:30** | **Resumption of Work of the Sections** | |

| | | |
|---|---|---|
| 16:30 | Summary of Conference Work in Sections, Presentation of Certificates, Closing of the Conference | 3rd floor, Conference Hall. N 305 |
| 17:00 | Buffet | 1st floor, cafeteria |

# მომავალ სტუდენტთა სექცია
# Section of Future Students

ხელმძღვანელი: მარინე უგულავა, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტი.

Supervisor: Marine Ugulava, Specialist of Public Relations Service of Caucasus International University.

წევრები: თინათინ გაბუნია, მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის აუდიო ვიზუალური მიმართულების პედაგოგი;

ქეთევან კალანდაძე, მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი.

Member: Tinatin Gabunia, Head of National Youth and Children's Palace, Instructor of the audio-visual direction;

Ketevan Kalandadze, National Youth Palace, Head of the Library.

მომხსენებელთა რაოდენობა: 23 The number of reporters:23
მოხსენებათა რაოდენობა: 21 The number of reports: 21

| N | მოსწავლის სახელი, გვარი (ქართულად, უცხო ენაზე)<br><br>**Pupil's first name and surname (in the Georgian and foreign languages** | სასწავლო დაწესებულება,რომელსაც წარმოადგენს მომხსენებელი<br><br>**Educational institution represented by the reporter** | ნაშრომის სახელწოდება (ქართულად, უცხო ენაზე)<br><br>**The title of the thesis (in the Georgian and foreign languages)** | მეცნიერ-ხელმძღვანელის სახელი, გვარი, სამეცნიერო ხარისხი, აკად. წოდება (ქართულად, უცხო ენაზე)<br><br>**First name and surname, academic degree and position of the scientific-supervisor, (in the Georgian and foreign languages** |
|---|---|---|---|---|
| 1 | ხატია არაბული | თბილისი, 217-ე საჯარო სკოლა | რა ეკოლოგიური საფრთხე ემუქრება დიდ ლილოს... | მანანა ნუცუბიძე, ისტორიის პედაგოგი |
| | Арабули Хатия | Тбилиси, № 217 публичная школа | Какая экологическая угроза угрожает Диди Лило... | Нуцувидзе Манана, Преродавател истории |
| 2 | მარიამ არჯევანიძე | თბილისი, 150-ე საჯარო სკოლა | თვითმმართველობის როლი სასკოლო ცხოვრებაში | მანანა ჯადუგიშვილი, პედაგოგი |
| | Mariam Arjevanidze | Tbilisi, Public School #150 | The Role of Self-govenrment in School Life | Manana Jadugishvili, Teacher |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3 | ბაჩანა აფციაური | თბილისი, 138-ე საჯარო სკოლა | ციხის შემდგომი ცხოვრება | ნუნუ კაპანაძე, სკოლის დირექტორი |
| | Bachana Aptsiauri | Tbilisi, Public School #138 | Life after prison | Nunu Kapanadze, Director of School |
| 4 | ლიზი ბაკურაძე | თბილისი,159-ე საჯარო სკოლა | ედგარ ალან პო და ნიკოლოზ ბარათაშვილი - პოეტები, რომლებიც უიმედობამ შექმნა | ვისელი მორჩილაძე, მათემატიკის პედაგოგი |
| | Lizi Bakuradze | Tbilisi, Public School #159 | Edgar Allan Poe and Nikoloz Baratashvili - poets, who were created by despair | Viseli Morchiladze, Teacher of Math |
| 5 | მარიამ ბეგიაშვილი | თბილისი, 65-ე საჯარო სკოლა | ზოგადი განათლების საკითხები | იზოლდა უგულავა, პედაგოგი |
| | Mariam Begiashvili | Tbilisi, Public School #65 | Main issues of general education | Izolda Ugulava, Teacher |
| 6 | თეკლა ბეჟანიშვილი; მარიამ ბაღდოშვილი | რუსთავი, 22-ე საჯარო სკოლა | ზოგი სტილისტიკური გამოთქმის შესახებ ქართულში | მანანა ამაშუკელი, ფილოლოფი, პედაგოგი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | TeklaBezhanishvili; Mariam Baghdoshvili | Rustavi, Public School #22 | Some of the stylistic expressions in Georgian language | Manana Amashukeli, Philologist, Teacher |
| 7 | გიორგი გაფიშვილი | თბილისი, 217-ე საჯარო სკოლა | და ისევ «პატარა პრინცი»... | ლია ზამთარაძე, რუსული ენის პედაგოგი |
| | ГапишвилиГеоргий | Тбилиси, № 217 публичная школа | И снова «Маленький принц»… | Замтарадзе Лия, Преродаватель русского языка |
| 8 | მათე ვეკუა | ზუგდიდი, მე-3 საჯარო სკოლა | საქართველოს არჩევანი - ევროპული ორიენტაცია | ნანა ფიფია, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი |
| | Mate Vekua | Zugdidi, Public School #3 | Georgia’ Choice- European Orientation | Nana Phiphia, Teacher of Georgian Language and Literature |
| 9 | ელენე ვერულიძე | თბილისი, 49-ე საჯარო სკოლა | გენდერული თანასწორობა | თინათინ გაბუნია, მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე, აუდიო ვიზუალური მიმართულების პედაგოგი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | Elene Verulidze | Tbilisi, Public School #49 | Gender Equality | Tinatin Gabunia,<br>Pupil Youth National Palace,<br>Audio visual<br>directionteacher |
| 10 | ელენე<br>მახარაშვილი | თბილისი, 219-ე საჯარო<br>სკოლა | „ოქროს კვეთა“ | შალვა ხუციშვილი<br>დირექტორი, მათემატიკის<br>პედაგოგი |
| | Махарашвили<br>Елене | Тбилиси, № 219 публичная<br>школа | “Золотое сечение“ | Хуцишвили Шалва<br>Директор, Учитель<br>Математики |
| 11 | მერი მენაბდე | თბილისი, 199-ე საჯარო<br>სკოლა | 14 აპრილი -<br>დღეგამარჯვებისა! | ნათია ნაყოფია,<br>ქართული ენისა და<br>ლიტერატურის პედაგოგი |
| | Meri Menabde | Tbilisi, Public School #199 | The day of victory! | Natia Nakophia,<br>Teacher of Georgian<br>Language and Literature |
| 12 | მარიამ მიქანაძე | თბილისი, 51-ე საჯარო<br>სკოლა | ტელესერიალები<br>ქართულ მედიასივრცეში | ელენა ნაცვლიშვილი,<br>პედაგოგი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | Mariam Mikanadze | Tbilisi, Public School #51 | TV serials in Georgian edia space | Elena Natsvlishvili, Teacher |
| 13 | ანანო ნატროშვილი; ლუკა ხეჩიაშვილი | თელავი, მე-9 საჯარო სკოლა | სკოლიდან ევროპამდე | მარინე სეხნიაშვილი, პედაგოგი |
| | Anano Natroshvili; Luka Khechiashvili | Telavi, Public School #9 | Way to Europe | Marine Sekhniashvili, Teacher |
| 14 | ნატა რაზმაძე | თბილისი, 159-ე საჯარო სკოლა | ეგზისტენციალიზმისა და ნიჰილიზმის არსი | ვისელი მორჩილაძე, მათემატიკის პედაგოგი |
| | Nata Razmadze | Tbilisi, Public School #159 | Meaning of Nihilism and Existentialism | Viseli Morchiladze, Teacher of Math |
| 15 | გურამ რეხვიაშვილი | რუსთავი, მე-2 საჯარო სკოლა | კონსტანტინე გამსახურდია - „დიდი იოსები“ | ეთერ ხარბედია, პედაგოგი |
| | Guram Rekhviashvili | Rustavi, Public School #2 | Konstantine Gamsakhurdia – „Great Joseph“ | Eter Kharbedia, Teacher |
| 16 | ანა სარდაროვი | თბილისი, 49-ე საჯარო სკოლა | ტერორიზმი | მარინა ოზბეთელაშვილი, გეოგრაფიის პედაგოგი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | СардаровАна | Тбилиси, 49-я государственная школа | Терроризм | Озбетелашвили Марина, Учитель географии |
| 17 | მარიამ ფარცვანია | თბილისი, 179-ე საჯარო სკოლა | ქისტი ხალხის ინტეგრირების საკითხი ქართულ სახელმწიფოში | ეკა ფირანიშვილი, პედაგოგი |
| | Mariam Phartsvania | Tbilisi, Public School #179 | Integration of the Qists in Georgian state | Eka Phiranishvili, Teacher |
| 18 | ნიკოლოზ ქობალიანი | თბილისი, რობერტ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებელი | ადგილი, რომელსაც ევროპა ჰქვია! | ია ქაჯაია, პედაგოგი |
| | Nikoloz Kobaliani | Tbilisi, Robert Schuman European school | A place called Europe! | Ia Kajaia, Teacher |
| 19 | ანასტასია ქოიავა | თბილისი, მე-60 საჯარო სკოლა | კომუნიკაციის პრობლემები ახალგაზრდებში | ინგა ხავთასი, პედაგოგიკის დოქტორი, ისტორიის პედაგოგი |
| | Anastasia Koiava | Tbilisi, Public School #60 | Communication problems in young generation | Inga Khavtasi, Doctor of Pedagogic, Teacher of History |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 20 | მარიამ ჭკუასელი | თბილისი, 179-ე საჯარო სკოლა | ფერეიდნელი ქართველების ცნობადობისთვის | რუსუდან გორდელაძე, ისტორიის პედაგოგი |
| | Mariam Tchkuaseli | Tbilisi, Public School #179 | For known about Phereidan Georgians | Rusudan Gordeladze, Teacher of History |
| 21 | მარიამ ჯაბანიშვილი | თბილისი, 159-ე საჯარო სკოლა | იცხოვრე სტერეოტიპების გარეშე უფრო იოლად! | ლალი ხუციშვილი, პედაგოგი |
| | Mariam Jabanishvili | Tbilisi, Public School #159 | Live easily without stereotypes! | Lali Khutsishvili, Teacher |

# თეზისები
# ABSTRACTS

**ხატია არაბული**
თბილისი, 217-ე საჯარო სკოლა
XI კლასი
ხელმძღვანელი: **მანანა ნუცუბიძე**
ისტორიის პედაგოგი

## რა ეკოლოგიური საფრთხე ემუქრება დიდ ლილოს...

ყველაზე დიდი ნაგავსაყრელის პოლიგონი საქართველოში დიდ ლილოში მდებარეობს. აქ ყოველდღიურად 1000-1300 ტონა ნაგავი იყრება. 7 ჰექტარზე გადაჭიმული ღია ტიპის ობიექტი 700-კომლიან დასახლებულ ტერიტორიასთან ერთ კილომეტრში მდებარეობს.

დაბინძურებული გარემო, სხვადასხვა ტიპის მღრღნელები, ფრინველები და მწერები ადგილობრივი მცხოვრებლების ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის. ნაგავსაყრელის შედეგად ვრცელდება სხვადასხვა დაავადება, რადგან ნაგავი უამრავი მიკროორგანიზმის, ბაქტერიის, ვირუსისა და სხვა სერიოზული დაავადების მატარებელია. ნაგვის მყარი ნარჩენები ასევე შეიცავს ყველანაირი სახის მომწამვლელ ნივთიერებას, გაზებს, რომლებიც დროთა განმავლობაში შესაძლებელია, აფეთქდეს და ძლიერი კატასტროფა გამოიწვიოს. თუ აღნიშნულ პრობლემას სწორად არ გავუმკლავდებით, მომწამლავი აირები გავრცელდება მიწაში, ჰაერსა და წყალში, შესაბამისად არა მარტო ჩვენს ჯანმრთელობას მიაყენებს ზიანს, არამედ სხვა ცოცხალ ორგანიზმებსაც, გაანადგურებს მცენარეულ საფარს და ზეგავლენას მოახდენს არა მარტო ლილოს, არამედ დედაქალაქის გარემოს ეკოლოგიურ ბალანსზე.

დიდი ლილოს მოსახლეობა და გარემოსდამცველთა ნაწილი თბილისის საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის დახურვას მოითხოვს; აქციებში ბევრი ჩვენი თანატოლიც მონაწილეობდა. ამ თემას მიეძღვნა მრავალი აქტივობა სკოლაშიც, რადგან ვაცნობიერებთ, რომ საფრთხის თავიდან აცილება ჩვენი აქტიური მონაწილეობითა და არსებული პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლითაა შესაძლებელი.

**Арабули Хатия**
Тбилиси, № 217 публичная школа
Класс XI
Руководитель: **Нуцубидзе Манана**
Преподаватель истории

## Какая экологическая угроза угрожает Диди Лило...

Самая большая мусорная свалка Грузии находится в Диди Лило. Ежедневно сюда поступает 1000-1300 тонн мусора. На семи гектарах расположилась свалка открытого типа, всего в одном километре от населенного пункта. Химические реакции, происходящие в этой массе, представляют собой смертельную опасность. Загрязненная окружающая среда: грызуны, птицы и насекомые являются переносчиками различных инфекционных заболеваний. Ухудшение экологического состояния окружающей среды из-за свалок негативно влияет на здоровье людей, вызывает опасные заболевания, в том числе и с летальным исходом. Кроме органических на свалку привозят и неорганические отходы. Химические реакции, происходящие на свалке, могут вызвать загрязнение грунтовых вод. В результате, может ухудшиться состояние питьевой воды. Вокруг свалки гибнет вся растительность, если учесть, что выделенный метан взрывоопасен, то со временем газ может спровоцировать крупную катастрофу.

Жители Диди Лило и часть экологов требуют закрытия мусорной свалки в Тбилиси. Ими было проведено множество акций с требованиями рекультивировать мусорный полигон в Диди Лило. В таких акциях активно участвовали и наши ровесники. Школьники проводят множество различных мероприятий, где ученики вполне осознанно выступают против варварских методов отношения к природе и человеку, т.к. понимают, что только активным участием можно изменить ситуацию в Диди Лило.

**მარიამ არჯევანიძე**
თბილისი, 150-ე საჯარო სკოლა
XI კლასი
ხელმძღვანელი: **მანანა ჯადუგიშვილი**
პედაგოგი

## თვითმმართველობის როლი სასკოლო ცხოვრებაში

**საჯარო სკოლის სტრუქტურა**

საჯარო სკოლა არის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც დამოუკიდებლად ახორციელებს საგანმანათლებლო საქ-მიანობას და უზრუნველყოფს ზოგადი განათლების მიღებას დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. სკოლის სტრუქტურა მოიცავს პედაგოგიურ საბჭოს, სამეურვეო საბჭოს, სკოლის დირექციას, მრჩევემთა საბჭოს, მოსწავ-ლეთა თვითმმართველობასა და დისციპლინურ კომიტეტს.

**თვითმმართველობა, როგორც სკოლის სტრუქტურული ერთეული**

მოსწავლეთა თვითმმართველობა არის მოსწავლეთა არჩეული ორგანო, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმოადგენს სკოლის სტრუქტურულ ერთეულს. საჯარო სკოლაში მოსწავლეთა ორი თვითმმართველობაა, რადგან საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეები ირჩევენ საკუთარ თვითმმართველობებს.

**თვითმმართველების გზა სსიპ - ალექსანდრე ცინცაძის სახელობის ქალაქ თბილისის N150 საჯარო სკოლაში**

თვიმმართველობა, როგორც სკოლის სტრუქტურის ნაწილი, ჩვენს სკოლაში ჩამოყალიბდა 2015 წელს. მას შემდეგ სკოლის თვით-მმართველებმა განაცორციელეს არაერთი პროექტი და მნიშვნელოვნად შეცვალეს სასკოლო კულტურა.

კერძოდ:

2015 წელს სკოლაში შეიქმნა სამოქალაო კლუბი ,,მომავლის ელჩები“, რომლებმაც ითანამშრომლეს ბევრ ორგანიზაციასთან და განახორ-ციელეს უამრავი პროექტი; კერძოდ:

1.“გზა დაუთმე ქვეითს“

2.“უსინათლოები საზღვრებს გარეთ“
3.“ბავშვები მართავენ“
ამ პროექტებში ჩართული იყო (USAID) (UNICEF) (PHinternational) და სხვა ნაცნობი ორგანიზაციები.

**თვითმმართველობის მნიშვნელობა სკოლის მოსწავლეებში.**
თვითმმართველებმა გადავწყვიტეთ, ჩაგვეტარებინა კვლევა ჩვენი სკოლის მოსწავლეებს შორის და მოვამზადეთ სტატისტიკა, რომელსაც ვრცლად განვიხილავთ პრეზენტაციის დროს.

**Mariam Arjevanidze**
Tbilisi, Public School № 150
Class XI
Supervisor: **Manana Jadugishvili**
Teacher

## The role of self-government in school life

### Public school structure
Public school is a legal entity of public law created by the Ministry of Education and Science of Georgia, which independently carries out educational activities and provides general education in accordance with the primary, basic and secondary level national curriculum. The school structure includes the Pedagogical Board, Board of Trustees, School Administration, Advisory Board, Student self-government and Disciplinary Committee.

### Self-governance as a school structural unit
Students’ self-governance is the body elected by pupils, which, as we have already mentioned, represents the school structural unit. There are two self-

governing bodies in schools, because the students of the basic and secondary level are choosing their own self-governments.

**Self-governance in Tbilisi public school #150 named after Aleksandre Tsintsadze**

Self-governance as a part of the school structure was established in our school in 2015. Since then they have implemented many projects and have significantly changed the school culture.

Namely:

In 2015 civil club "Ambassadors of Future" was created in school, which collaborated with many organizations and implemented a lot of projects.

Particularly:

1) "Give way to pedestrians"
2) "Blind beyond the borders"
3) "Children govern"

**USAID (UNICEF) (PHinternational) and other familiar organizations were involved in these projects.**

The importance of self-government for school students

The self-governors have decided to conduct research among our school children and prepare statistics that will be discussed during the presentation.

**ბაჩანა აფციაური**
თბილისი, 138-ე საჯარო სკოლა
XII კლასი
ხელმძღვანელი: **ნუნუ კაპანაძე**
სკოლის დირექტორი

## ციხისშემდგომი ცხოვრება

2013 წელს, ამნისტიის შედეგად, საპატიმროები ათი ათასამდე ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა დატოვა.

ყოფილ პატიმრებს ციხიდან გამოსვლის შემდეგ ცხოვრების თავიდან დაწყება უჭირთ. ხშირ შემთხვევაში მათ აღარ აქვთ სახლი, ფული, სამსახური. აღარ ჰყავთ ოჯახი და მეგობრები. უჭირთ საზოგადოებასთნ ინტეგრაციაც. ეს ყველაფერი კი, არცთუ იშვითად, მათ ისევ უბიძგებს ხელალახალი დანაშაულის ჩადენისა და ციხეში დაბრუნებისკენ. როგორია ის გზა, რომელსაც საქართველოში ყოფილი პატიმრები გა-დიან ციხიდან გამოსვლის შემდეგ და რას სთავაზობს მათ სახელმწიფო?

იქიდან გამომდინარე, რომ უკანასკნელ წლებში პატიმართა უდიდესი ნაწილი სხვადასხვა სახის წამების მსხვერპლი იყო, დღეს საქართველო პატიმართა რესოციალიზაციის კუთხით ათმაგად დიდი გამოწვევის წინაშე დგას.

ყოფილი პატიმრებისთვის ყველაზე მძიმე დასაქმების პრობლემაა.

სახელმწიფო სამსახურში მუშაობის უფლება მათ კანონით არ გააჩნიათ, კერძო დამსაქმებელი მათი წარსულის გამო ყოფილი პატიმრების სამსახურში აყვანას ერიდება.

ნასამრთლევ პირებს ექმნებათ პრობლემები საზოგადოებასთან ურთიერთბების თვალსაზრისითაც.

განსაკუთრებით რთულადაა საქმე ქალების შემთხვევაში.

ციხეში ქალების ნახევარი მიტოვებული პატიმარია.

2012 წლიდან ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციის პროგრამებს სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი ახორციელებს, თუმცა ცენტრს აქვს ბევრი პრობლემა და გამოწვევა.

**Bachana Aptsiauri**
Tbilisi, Public School #№ 138
Class XII
Supervisor: **Nunu Kapanadze**
Director of School

## Life after prison

In 2013, up to ten thousand convicts  left prisons as a result of amnesty. Former prisoners find it difficult to start new life after leaving the prison. In many cases don't have a house, money and a job.They don't have family and friends either. They find it difficult to integrate into society, too. These are the things which make formerly incarcerated people to commit a crime again and return to prison. What is the way that former prisoners go through after leaving prison and what the state is offering them?

Based on the fact that in the last years most of the prisoners were victims of different kind of torture, today Georgia faces a huge challenge of prisoners' resocialization.

The most problematc issue for them is that they can't find a job.

They do not have the right to work in the state service, private employers get rid of them because of their criminal past.

Former prisoners have problems with society, too. They find it difficult to make new contacts because of stereotypes.

It is especially difficult in case of women.

Half of the women in prisons are abandoned prisoners.

From 2012, rehabilitation programs of former prisoners are implemented by LEPL Crime Prevention Center, although the center has many problems and challenges.

**ლიზი ბაკურაძე**
თბილისი, 159-ე საჯარო სკოლა
X კლასი
ხელმძღვანელი: **ვისელი მორჩილაძე**
მათემატიკის პედაგოგი

## ედგარ ალან პო და ნიკოლოზ ბარათაშვილი - პოეტები, რომლებიც უიმედობამ შექმნა

ედგარ ალან პო და ნიკოლოზ ბარათაშვილი - პოეტები, რომლებიც უიმედობამ შექმნა. ალბათ გაგიჩნდებათ კითხვა - რა აქვთ მათ საერთო? სწორედ ამ კითხვაზე ვცადე პასუხის გაცემა. თუმცა ჩემზე უკეთ გალაკტიონმა შენიშნა მათი მსგავსება. სწორედ რომ მისი საყვარელი პოეტები იყვნენ ტატო და პო. როცა ევროპაში უკვირთ კამიუს აბსურდული გარდაცვალება, ჩვენ მთლად ჰიპერბოლიზებული აბსურდი გვხვდება ტატოს სიკვდილის სახით. აქვე უნდა ვახსენო პოს სიკვდილიც, რომელიც დღემდე არ არის დაზუსტებული. დაწვ-რილებით ინფორმაციას ჩემი თემის დახმარებით მიიღებთ.

**Lizi Bakuradze**
Tbilisi, Public School № 159
Class X
Supervisor: **Viseli Morchiladze**
Teacher of Math

## Edgar Allan Poe and Nikoloz Baratashvili - poets, who were created by despair

Edgar Allan Poe and Nikolos Baratashvili are poets, who were created by despair. You probably have a question what they have in common? I tried to answer this question in my essay. But Galaktioni noticed their similarity the

best. Tato and Poe were his favourite poets. When in Europe people are surprised by Camus's death we are more surprised by Tato's death. I also have to mention Poe's death which isn't still established. With the help of my topic you will get more information.

**მარიამ ბეგიაშვილი**
თბილისი, 65-ე საჯარო სკოლა
XI კლასი
ხელმძღვანელი: **იზოლდა უგულავა**
პედაგოგი

## ზოგადი განათლების საკითხები

სახელმწიფო ახალ თაობას აძლევს საშუალებას, რომ განვითარდნენ, მიიღონ საშუალო და უმაღლესი განათლება. ყოველივე ეს ქვეყნისთვის ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი სისტემითა და საზოგადოებრივი ინსტიტუტით - განათლებით სრულდება. ზოგადი განათლების მიზანია, მომავალი თაობის წარმატებული, საკუთარი შესაძლებლობების მუდმივად განვითარების შემძლე, ინფორმირებული და კანონმორჩილი მოქალაქეების შექმნა.

მოსწავლემ დეტალურად უნდა იცოდეს, თუ რა ეტაპები აქვს გასავლელი უმაღლეს სასწავლებელში ჩასაბარებლად. მნიშვნელოვანია ეროვნული სასწავლო გეგმის სწორედ გამართვა. ბოლო პერიოდის განმავლობაში სასწავლო გეგმა ბევრჯერ შეიცვალა. ეს ცუდია იმ თვალსაზრისით, რომ ამ მეთოდით მოსწავლეებს უჭირთ ადაპტირება.

ინფრასტუქტურა მოწესრიგებული არ არის, მაგალისთვის რეგიონების სკოლები, კერძოდ კი სოფელ ნაფარეულის საჯარო სკოლა.

ინფრასტრუქტურასთან არსებული პრობლემების გადასაჭრელად საჭი-როა სუბსიდირების გაზრდა სახელმწიფოს მხრიდან.

მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ ნებისმიერ თემაზე თუნდაც სხვებისაგან განსხვავებული მოსაზრების თავისუფლად დაფიქსირება.

მინდა, ისეთი განათლების სისტემა გვქონდეს, ყველა ადამიანმა შეძლოს სრულყოფილი განათლების მიღება, მიუხედავად სოციალური მდგომარეობისა. აღმოფხვრილი იყოს ყველა ის პრობლემა, რომელიც დღეს გვაქვს, მათ შორის ბულინგი და ინსიტუციური უფლებების უხეშად გამოყენების ფაქტები.

**Mariam Begiashvili**
Tbilisi, Public School № 65
Class XI
Supervisor: **Izolda Ugulava**
Teacher

## Main issues of general education

The state gives new generation the opportunity to develop and get secondary and higer education. All of this is completed by a fundamentally significant system and public institution – Knowledge. And the goal of providing general education is to form a successful, well-informed and law-abidingcitizens, who will be able to regularly improve their abilities.

A pupil should be aware of the steps he has to take before applying to a university.It is important to plan National Curriculum correctly. As in recent years ,the curriculum has changed many times, which is bad in the sense that students hardly adapt to this method.

The infrastructure at schools is also disarrayed… For instance, we can take a look at the school in Nafareuli Village. To deal with these kind of problems, the government shoul increase funding.

Students should be able to express their opinion about any topic, regardless what the society thinks. I wish we would have an educational system, which could provide highest level of knowledge, despite the social status of a student. All problems including bullying and any incident of violently abolishing other people's institutional rights, should be distinguished.

**თეკლა ბეჟანიშვილი**
**მარიამ ბაღდოშვილი**
რუსთავი, 22-ე საჯარო სკოლა
XI კლასი
ხელმძღვანელი: **მანანა ამაშუკელი**
ფილოლოგი, პედაგოგი

### ზოგი სტილისტიკური გამოთქმის შესახებ ქართულში

XX საუკუნეში, ე.წ. საბჭოურ ეპოქაში, ამ ოთხმოცი წლის განმავლობაში ქართული სალიტერატურო ენა, მართალია, ვითარდებოდა, მაგრამ ამავე დროს ფეხს იკიდებდა და მკვიდრდებოდა პარაზიტი, მახინჯი, არაფრისმთქმელი და უნდილი გამონათქვამები და ფრაზეოლოგიზმები. აქვე უნდა ითქვას, რომ ამ პროცესს თან სდევდა რუსული ენის მიერ ქართულის შევიწროება-დაკნინება-დამცირება.

სამწუხაროა, რომ ეს გამონათქვამები თავს იჩენს ჟურნალ-გაზეთებში, სტუდენტთა, პროფესორ-მასწავლებელთა და საერთოდ, განათლებულ თუ ნაკლებად განათლებულ ადამიანთა მეტყველებაში. ალბათ, ყოველ ჩვენგანს უნახავს მაღაზიებში, აფთიაქებსა და სხვ. წარწერა, რომელიც გვაუწყებს, რომ "გაყიდვაშია" ესა თუ ის ნივთი, წამალი... დიახ, ყველას გვინახავს, წაგვიკითხავს ეს წარწერა, თუმცა მოსმენით ნაკლებად მოგვისმენია. მის ნაცვლად ვიტყვით ბუნებრივად: იყიდება ან ყიდიან.

რაც შეეხება ქართულს, -ში ელემენტიანი ფორმები ყურს იმიტომ გვჭრის, რომ მათი ქართული შესატყვისები ნამდვილი სახელები კი არა, მოქმედების სახელებია. ისინი ზოგი ფორმალური თვისებითაც და მნიშვნელობითაც უფრო ახლოს დგანან ზმნებთან. ამდენად, ნაკლებად ჰგუობენ თანდებულებს, ამიტომ გვეხამუშება ქართულისათვის არაბუნებრივი ფორმები: გაყიდვაშია, ხმარებაშია, შეხებაშია...

ჩვენი ამ გამოკვლევის მიზანია, ამოვიღოთ ქართულისათვის უცხო ფორმები და უფრო დახვეწილად ვიმეტყველოთ. ჩვენი ენით აღფრთოვანებულები არიან უცხოელი ენათმეცნიერები და ჩვენ არ გვაქვს უფლება, დავანაგვიანოთ მშობლიური ენა უცხოური, ჩვენი ენისათვის მიუღებელი ფორმებით.

**Tekla Bezhanishvili**
**Mariam Baghdoshvili**
Rustavi, Public School № 22
Class XI
Supervisor: **Manana Amashukeli**
Philologist, Teacher

## Some of the stylistic expressions in Georgian language

The Georgian literary language was developing during eighty years in the $20^{th}$ century in so-called Soviet era, but at the same time, the parasite, ugly, unholy and meaningless phrases and idioms were slowly spreading in the language. It should be said, that this process was accompanied by the harassment and humiliation of the Georgian language by the Russian language.

It is said, that these expressions appear in magazines, newspapers, students, professors, teachers and educated or less educated speech. Perhaps many of us have seen in shops, pharmacies and in other places the inscription, which tells us that “it is in stock” about things or medicine. Yes, everyone has seen or read

this kind of inscription, but we have heard less. Instead we say naturally: for sale.

As for the Georgian, a shape elements, are unpleasant to ear, because their Georgian matches are not real names, but are the names of actions. They are closer to the verbs with formal qualities and meanings. Thus, we are less susceptible to it, so we dislike unnatural forms for Georgian such as: it is in sale, in use, in touch…

The goal of this study is to remove foreign forms out of Georgian language and speak more "perfectly". Foreign language enthusiasts are excited by our language and we have no rights to litter our language with foreign forms and unacceptable forms for our language.

**გიორგი გაფიშვილი**
თბილისი, 217-ე საჯარო სკოლა
XII კლასი
ხელმძღვანელი: **ლია ზამთარაძე**
რუსული ენის პედაგოგი

## და ისევ «პატარა  პრინცი»...

ბავშვობაში ბებიამ წამიკითხა მოთხრობა „პატარა უფლისწულზე“. ყურადღებით ვუსმენდი, თუმცა ბევრი რამ არ მესმოდა, ზოგჯერ ვხედავდი ბებიას ცრემლებს და  სევდიან მზერას. მიკვირდა, რადგან ეს იყო კეთილი ზღაპარი პატარა ბიჭუნაზე, რომელიც მოგზაურობისას ეძებდა პასუხებს ცხოვრებისეულ საკითხებზე. მალე დავამთავრებ სკოლას და ის პატარა ბიჭიც აღარ ვარ. ცოტა ხნის წინ ხელში მომხვდა „პატარა უფლისწულის“ წიგნი, ბებია გამახსენდა და გადავფურცლე.

წიგნის კითხვისას მივხვდი, რომ „პატარა უფლისწული“ ფილოსოფიური ზღაპარია. ერთი მხრივ, თითქოს მარტივია, მაგრამ მის ირონიაში საკმაოდ ღრმა აზრია ჩადებული. ეს აზრები ავტორის მიერ ასახულია მეტაფორული გამონათქვამებით და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების თემებით: სიკეთე და ბოროტება, სიცოცხლე და სიკვდილი, ადამიანური ყოფა, ჭეშმარიტი სიყვარული, ზნეობრივი სილამაზე, მეგობრობა, უსაზღვრო ერთიანობა, პიროვნებისა და ბრბოს ურთიერთობა და სხვა.

მოთხრობის მთავარი გმირი სიმბოლურად ბავშვური სიწმინდისა და გულუბრყვილობის, უშუალობის, სიკეთისა და სამართლიანობის გამოხატულებაა, რომლისთვისაც მეტად მნიშვნელოვანია, იხსნას კაცობრიობა მოსალოდნელი საფრთხისაგან. ამ ნათელი, სევდიანი და ჭკვიანური მოთხრობით ეგზიუპერი იცავს კაცობრიობას და ადამიანთა სულებში არსებული სიკეთის ნაპერწკალს გადაგვარებისაგან. ალბათ, ამის თქმა უნდოდა ბებიაჩემს, როცა „პატარა უფლისწულს“ მიკითხავდა...

**Гапишвили Георгий**

Тбилиси, № 217 публичная школа

Класс XII

Руководитель: **Замтарадзе Лия**

Преподаватель русского языка

## И снова «Маленький принц»…

В детстве бабушка прочитала мне сказку «Маленький принц». Внимательно слушал, хотя многого не понимал, и видел, как иногда бабушкин взгляд становился печальным. Ведь это была всего лишь добрая сказка о мальчике, который путешествовал и искал ответы на вечные вопросы о жизни… Скоро я закончу школу, и уже не буду тем маленьким

мальчиком. Недавно в руки мне попала та самая маленькая книжка, я вспомнил бабушку и стал перелистывать.

Перечитывая книжку, я понял, что «Маленький принц» – это философская сказка. С одной стороны, казалось бы, простая история, но в ее иронии скрывается глубокий смысл. Этот смысл автор отражает в отвлеченном виде через иносказания, метафоры и символы, темы всемирного масштаба: добра и зла, жизни и смерти, человеческого бытия, истинной любви, нравственной красоты, дружбы, бесконечного одиночества, взаимоотношения личности и толпы и другие.

Главный герой рассказа является символическим выражением детской чистоты и непосредственности, наивности, доброты и искренности, для которого самым важным является спасение человечества от неизбежной катастрофы. Своей светлой, грустной и мудрой сказкой Экзюпери защищал человечность, живую искру в душах людей. Наверно это и хотела объяснить мне бабушка, когда читала «Маленького принца».

**მათე ვეკუა**
ზუგდიდი, მე-3 საჯარო სკოლა
XII კლასი
ხელმძღვანელი: **ნანა ფიფია**
ქართული ენისა და
ლიტერატურის პედაგოგი

## საქართველოს არჩევანი-ევროპული ორიენტაცია

ჩვენმა ქვეყანამ პოლიტიკური არჩევანი დიდი ხნით ადრე გააკეთა და აირჩია დასავლური ორიენტაცია, თუმცა პოლიტიკურად მისი ნაწილი მხოლოდ XX ს-ის დასასრულს გახდა, როცა ევროსაბჭოს ანსაბლეაზე ზურაბ ჟვანიამ ხმამაღალმა განაცხადა: „მე ვარ ქართველი, მაშასადამე,

მე ვარ ევროპელი!“ მაგრამ საუკუნის ამ ფრაზამ ქართული საზოგადოების ნაწილისთვის კითხვის ნიშანი შეიძინა.

დღეს ჩვენ დასავლურ სამყაროსთან სწრაფი პოლიტიკური, ეკონომიკური და კუტურული ინტეგრაციის პერიოდში ვცხოვრობთ, მაგრამ ევროპული ფასეულობების გათავისება იოლი არასოდეს ყოფილა და ჰარმონიული არც ახლა არის. როგორც ჩანს, ჩვენსა და მათ შორის არსებული განსხვავების გადასალახად მხოლოდ სურვილი არ იყო საკმარისი. ევროპასთან ინტეგრაციის პროცესი საკმაოდ დრამატულად მიმდინარეობდა ადრე და თვისობრივად ახლაც ბევრი არაფერი შეცვლილა. ამ ურთიერთობას თან ახლდა დრამატიზმი, რომელსაც ქმნიდა ის განსხვავებული ფაქტორები, რომელსაც განვიხილავთ. ფასეულობათა და ღირებულებათა განსხვავების ფონზე ძნელი ამოსაცნობი არ არის ჩვენი ქვეყნის სწრაფვა ლიბერალური, თავისუფალ ღირებულებებზე დაფუძნებული ევროპული ცივილი-ზაციისკენ, მაგრამ ,,საქართველო კარს უღებს ევროპულ ცივილიზაციას, თუმცა თავად არაა მისი ნაწილი“ (ი. ჭავჭავაძე).

**Mate Vekua**
Zugdidi, Public School № 3
Class XII
Supervisor: **Nana phiphia**
Teacher of Georgian Language and Literature

## Georgia’s Choice- European Orientation

Our country had made its choice long before and had chosen the Western orientation, but politically it became part of it only at the end of 20$^{th}$ century. It’s been affirmed by Zurab Zhvania on the assembly of Council of Europe, stating that: ‘I’m Georgian, therefore I’m European!’ However this strong statement has become questionable for the part of Georgian society.

We’re living in a period of political, economical and cultural integration process with Western world, but understanding European values have never

been so easy, and it's not harmonic nowadays as well. It seems that only the desire to overcome the difference between us was not enough. European integration has been dramatically going and nowadays it hasn't changed much qualitatively. This relationship was accompanied by dramatics, which was created by various factors, that we will be considering. Despite our differences regarding the values, it's not hard to realize our country's aspiration to liberal, free values, for European civilization, however -'Georgia opens its door to European civilization, but itself isn't the part of it' (I. Chavchavdze)

**ელენე ვერულიძე**
თბილისი, 49-ე საჯარო სკოლა
X კლასი
ხელმძღვანელი: **თინათინ გაბუნია**
მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე,
